



ახალი განათლება

15-21.02.2018

№5 (799) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ნახევარ საუკუნეზე მატი უნივერსიტეტი



გვერდი 2

საუკუნეზე ღლებში ყველა უნივერსიტეტი თვალს ავრცებს იმ ძნელ, საუკუნოვან გზას, ჩვენმა უნივერსიტეტმა ჩოდ ქიუმფალებად განვიღო, ფიქიობს იმ საკითხებზე, რაც ჩვენს ანდომას და მომავარს უკავშირდება. ბენებივისა, ჩემთვისაც ამ ღლებში განსაკუთხებელი ხიბი ეძღვა საუკუნეზეს უსეა ცხოველიდან მახსოვრის შემონახევი ეპიზოდებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ხორი შეასხება ჩემი პირველის ფორმის შემცველების შესახებ.

ბევრები მომინია საზოგადოებრივი ყოფნა, ხან სამეცნიერო მივინებით, ხანაც მონველი პროფესიონალის ხანგში. ასე ეხითხე, ასევე ქვეყანაში, ას მიფიქის, ჩოდ ქათურე უნივერსიტეტში მიღებული განათლება ას ასის საქამახის იმისათვის, თავი ევროპული მეცნიერების თანახმობის კოლეგად მეგხმნო. პირველი, ზოგჯერ ჩვენი საუკუნეზეს განათლების ეპიზოდებად კი დამინახავს, განსაკუთხებით უნივერსიტეტი განათლების საკითხებში. — აკადემიური ხისმაბ ბორეზებუნი.

სკოლა და რელიგია

შეცვა ტბატბაშვი: ჩვენ ვეცხოვთ მხავართულობას საქართველოში და ძალა მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს პერიოდის ბაზისური ცოდნა ყველა ჩერიგის შესახებ, რომ შეძლოს მშვიდი თანაცხოვება. საკამათო სხვა საკითხი - ჩვენმა ასის საქონი ჩერიგის ისტორიის, როგორც ცალკე საგნის, უფრო ზესტად კი - აჩევნითი საგნის შემოქანა. ჰიპოთეზად, ჩერიგის სწავლის კუთხით, ეს უკან გადაღმული ნაბიჯია, განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით კი, ეს გადაწყვეტილება, ყიყიჭას ვერ ეძღებს.

ჩეცვა ბოსტიშვილი: როგორი „მაჩგარიც“ სახელმძღვანელოს ას უნდა შეიქმნას და მასში შევიდეს ასა მახუთ საქართველოს, ასამერ მსოფლიო გამოყენებას, ვისით, რომ ჩვენი პერიოდის საზოგადოების ნანილი ასიან და ისევე აუკახებენ ქანონით განვითარების, როგორც ჩვენ, ჩიგითი მოქადაკები. რომა მასნავლებელი საქართველოს თავისი კას მოიხედავს, მექნიმუნეთ, მნიშვნელობა ასა აქვს, როგორი სახელმძღვანელო უჭიხავს ხელში ან როგორი ძვირის მისა მოინახავს ნინ, ჩა უჩენინგები ჩაუკახა, ას უმთავრესი სწორებ მასნავლებელია.



გვერდი 4

**კრიფესიული უნარების
გამოცდისთვის მოსამზადებლად**
CAVABLARI İLƏ ÖNƏMLİ SUALLAR
მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხით
Կარსკი ჩარგენ ფასთასიანის წერილ

გვერდი 6



**მათოლია
როგორ ვმუშაობ
ლიტერატურულ კარალელებზე
ვაჟა-ფშაველას საბავშვო
მოთხოვებებისა და
ნიკო ლორთელისის ნოველა
„ნისკვილის“ მიხედვით**

გვერდი 8

**სასკოლო აჯივრება
„ნიგბიქეპივის“
თბილისის უნივერსიტეტი**

გვერდი 9

**ლიტერატურის სრულყოფისათვის
„ახალი აღამიანი“
ძველსა და უახლეს კართულ
ლიტერატურაში
ირანი საბანისძის „აბო თბილელის
ნამება“ და ჯემალ კარჩეაძის „იბი“**

**სიმბოლოებისა და მხატვრული
სახეების ამოცნობის
კრიტიკის დაძლევა
საგაქვეთილო კრიტიკი**

გვერდი 10

ნახევარ საუკუნეზე მატი უნივერსიტეტი



ქართული მეცნიერების, სულიერებისა და კულტურის უმთავრეს კერას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, წელს დაარსებინდან ერთი საუკუნე უსრულდება. შემიძლია ვთქვა, რომ ამ ერთი საუკუნიდან, ორმოცდა-ათ წელზე მეტი ჩემი ცხოვრებისა გატარებული მაქვს უნივერსიტეტში და, ამდენად, უნივერსიტეტი ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ჩემი ულებრივი სასამართლო დაწესებულება.

საუბილეო დდებში ყველა უნივერსიტეტი თელი თვალს ავლებს იმ ძნელ, საუკუნოვან გზას, ჩევნინა უნივერსიტეტიმა რომ ტრიუმფია-ლურად განვლო, ფიქრობს იმ საკითხებზე, რაც ჩევნის ანდებისა და მომავალს უკავშირდება. ბუნებრივია, ჩემთვისაც ამ დღებში განსაკუთრებული ხიბლი ეძლევა საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან მასხვორობაში შემონახულ ეპიზოდებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩემი პიროვნების ფორმირების პროცესში. ამასთანავე მთელი სიმწვავით იწევს ნინა პლაზე საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მტკიცვნეული საკითხი. ბოლო წლებია, ჩევნის ქვეყანაში გაძლიერდა საზღვარგარეთ განათლების მიღების პროპაგანდა, უამრავი აპლოლგეტი გამოუჩინდა საზღვარგარეთ მიღებულ საუნივერსიტეტო განათლებას. ტელერეკლამებში თუ ზოგიერთი განათლების მესვეურის ან მაღალინინონის გამოსვლებში, ფაქტობრივად, ქადაგებენ იმას, რომ თუ გნებავთ მიიღოთ სრულფასოვანი საუნივერსიტეტო განათლება, უცხოეთს უნდა მაჟუროთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. დარწმუნებული ვარ, იგნე ჯავახისშივილს რომ გაეგო ეს, საკამაოდ არასასაბრძილო აზრი შეექმნებოდა ქართული საზოგადოების მზადყოფნაზე, ხელი შეეწყო საუკიარ ქვეყანაში მაღალი ღონის საუნივერსიტეტო განათლების პირობების შექმნისათვის. მშენ როლისა მის მიერ თარისამო-

სათვის. ძარბის, როდესაც ის იქნებოდა დაბასებული უნივერსიტეტი ფუნქციონირებს საქართველოში, ახალგაზრდებს მოუნიდებენ, სრულფასოვანი საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად გადაწყვეტილი საზღვარმართო. საქეპ ის გახლავთ, რომ ჩეკენი არასწორი დამკინდებულებაა სრულყოფილი საუნივერსიტეტო განათლების მიმართ. ზოგიერთის ჰერონათ, რომ თუკი უცხოეთში არ მიიღებ განათლებას, არ ჩაითვლები სრულფასოვან უნივერსიტეტდამთავრუბულად. მე პირადად, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ როდესაც შემოვედი უნივერსიტეტში, თავისი სამეცნიერო პოტენციალით, ჩეკენი უნივერსიტეტი ტოლს არ უდებდა მსოფლიოს არც ერთ წამყვან უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის დერეფნები დაღიოდნენ ისეთი აღიარებული წარმომადგენლები ჩეკენი მეცნიერებისა, როგორებიც იყვნენ: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, ივანე ბერიტაშვილი, შალვა ნუცებიძე, სიმონ ყაუხებიშვილი, ილია ვეკუა. ყველას ჩამოთვლა გამოიჭირდება. ეს იყო ძალიან დიდი სტიმულის მომცემი ჩეკენთვის, რადგან ვხვდებოდით, რომ დიდი მეცნიერების, მათ შორის უნივერსიტეტის დამარცხებლებს, გარემოზი ვიზრდებოდით, რომ ჩეკენს სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში, მსოფლიოს სახელის მქონე პროფესორები მონანილობაზე.

სიტუაცია ასევე ყოფილი იყო: ძევნდებარ აუდიტორიანი, სადაც მხვდებიან ასაკის ჩემზე ბევრად უფროსა ადამიანები. დამინახეს თუ არა, გულთბილად მომმართეს – მოდი შვილო, მოპრანანი. მეც მივყდა კათედრასთან და დავიწყებ ლექცია „რა მნიშვნელობა აქვს მეოცე საუკუნეში, ტექნიკისა და პროგრესის საუკუნეში, ანტიკური ლიტერატურის ისტორიის შესწავლას (შესავალი კურსის“). ამ დროის ჩემი ხელმძღვანელი დერეფანში დაიღიოდა, რომ სხვა აუდიტორიებიდან გამოსულ სტუდენტებს არ ეხმაურათ და ჩემთვის ხელი არ შეეშალათ. ჩავატარე პირველი საათი და როცა შესვენების შემდეგ შევედი აუდიტორიაში მაშინვე ვიგრძენი, რომ აუდიტორიასთან ურთიერთობაში რაღაც შეიცვალა. ის ლექცია დაგასრულებული და ყველაფერი რომ კარგად ჩატარდა იმით მივხვდი, რომ „შეიღოს“ ნაცვლად „ბატონობით“ მომართავდნენ. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა დისციპლინაში მაქს ლექციების კურსი ჩატარებული, რაც ჩემს დარგთან, კლასიკურ ფილოლოგიასთან არის დაკავშირებული. ვასნავლიდი ძევლებერძნულს, ლათინურს, ვკითხულობდი ანტიკური ლიტერატურის ისტორიას, ბერძნულ მითოლოგიას, ანტიკური ცივილიზაციის ისტორიას, ბერძნულ ენათმეცნიერებას და ბევრ სხვა კურსს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მინდა გავისძნო: გასული საუკუნის 60-ან წლებში ჩვენისა უნივერსიტეტიმა გზა გაუხსნა საზღვარაგარეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთობებს და ეს იყო ძალაში დიდი მოვლენა. გაფრინდან ხელშეკრულება იინის უნივერსიტეტთან, გაგვეხსნა გზა ევროპის მისა. ბევრ ჩვენს მეცნიერებს მიეცა საშუალება საკუთარი ძალები მოესინჯა ეკრისულ ასპარეზზე. ჩემი სტუდენტობის დროს, როდესაც რომელიმე მეცნიერებები იტყოდნენ, პაიდელბერგში აქვთ მოსმენილი ამა და ამ ლექტორის ლექცია, ეს ითვლებოდა ამ ადამიანის საოცარ უპირატესობად ჩვენ ნინაშე. ახლა რამდენი ჩემი კოლეგა და უნივერსიტეტის პროფესორი არათუ ისტენს, არამედ თავად ატარებს ლექციებს იქ და დიდი წარმატებითაც. ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, შეიცვალა ის ბაზისი, რაზეც იგება ჩვენი წარმოდგენა მეცნიერის ღირსების შესახებ.

დაბოლოო, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გამიერთებია, ვფიქრობ ის ინსტიტუტია, რომლის დაფუძნებაშიც გარკვეული წვლილი მიმიღლვის და რომელსაც ვხელმძღვანელოდი ოცი წლის განმავლობაში. ეს არის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტისა და ნეოგრეციისტის ინსტიტუტი. საინტერესოა მისი დაარსების ისტორია: როცა საქართველოში საბერძნეთის საელჩო გაიხსნა, თბილისში ჩამოვიდა პირველი ელჩი ტასოს კრისკუკისი, აღაბათ ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და კულტურული კაცი, რომელიც შემცველია ცხოვრიბაში. პირველი საქმიანი ვიზიტი თუს-შემგანხორციელა. მას გაგებული ჰქონდა, რომ უნივერსიტეტში გვაქვს სა- რო თანხა და შეგვიძლია დავიწყოთ სათანა-დო სამუშაოები. მასხაოც, მივდეთ თუ-ს მაშინდელ რექტორთან, ჩემს კარგ მეცობართან, რომი მეტერევულთან და ვუზთხარი, რომ გვეცლება შანსი, გავსხნათ სანიმუშო ინსტიტუტი და რომ ამისათვის საჭიროა მერვე კორპუსში რემნების დაყება. დღემდე მას-სოვს მისი სიტყვები: ოღონდ შენ კარგდა იყავი და სადაც გინდა და როგორც გინდა ისე გავაკეთოთ ყველაფერი. ის მაშინვე მიხვდა, რა მნიშვნელოვან საქმეს ეყრდნობდა საფულველი. რემნები მალევე დავამთავრეთ ჩვენთვის გამოთავისუფლებულ თასებში და ინსტიტუტმა მუშაობა დაიწყო. რაც მთავარია, ეს იყო კარგი მაგალითი ჩვენი კოლეგებისთვის, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც შესაძლებელია უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსება, რისი ერთგვარი მოდელიც შეიძლებოდა ჩვენი ინსტიტუტი გამზღვდარიყო. გარდა კეთილმოწყობილი აუდიტორიებისა, შეიქმნა სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, ჩვენს დარგში ერთ-ერთი უდიდესი აღმოსავლეთი ევროპაში. საინტერესო ისაა, რომ უცხოური უნივერსიტეტები, როცა იგებდნენ ჩვენი ინსტიტუტის დაარსების შესახებ, სიხარულით გვიგზავნიდნენ ნიგნებს, უნიკალურ გამოცემებს, რა თქმა უნდა, საჩუქრად. რამდენიმე წლის ნინ, როცა საბერძნეთის პრეზიდენტი, მისი აღმატებულება სტეფანოპულოსი სტუმრობდა საქართველოს, თავადაც დიდი ბიბლიოფილი, ჩვენი ბიბლიოთეკის დათვალიერებასას გაკვირვებულმა აღიარა, რომ ასეთი წიგნები საბერძნეთის ბიბლიოთეკებისთვისაც კი იშვაოთობაა.

ხელოვანი ისტორიის მქონე კლასიკური ფილოლოგის კათედრა, რომელსაც იმსანად მე ვხელმძღვანელობდი და ამავე დროს ვიყავი უნივერსიტეტის პრორექტორიც, რომ გავხსენით ახალი ბერძნულ ფილოლოგიის განყოფილება. შეხვედრისას მკითხა, რა შემიძლია გავაკეთო თქვენი დარგისთვის, ზოგადად, უნივერსიტეტისთვის. მე ვუპასუხე, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება თუ მოგახერხებთ და გავხსნით ინსტიტუტს, რომელიც გააერთიანებს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ ყველა დარგს და ეს მოხდება უნივერსიტეტის წილით, რაზეც დიდი ხანია ოცნებისენ ქართველი ელინოლოგები. ახლა ბევრი ინსტიტუტი უნივერსიტეტში, მაშინ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაზე ორიენტირებული დაწესებულებები ჯამშიანული ყოფილია – მეცნიერული კლასიკური ფილოლოგის კათედრა, რომელსაც იმსანად მე ვხელმძღვანელობდი და ამავე დროს ვიყავი უნივერსიტეტის პრორექტორიც, რომ გავხსენით ახალი ბერძნულ ფილოლოგიის განყოფილება. შეხვედრისას მკითხა, რა შემიძლია გავაკეთო თქვენი დარგისთვის, ზოგადად, უნივერსიტეტისთვის. მე ვუპასუხე, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება თუ მოგახერხებთ და გავხსნით ინსტიტუტს, რომელიც გააერთიანებს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ ყველა დარგს და ეს მოხდება უნივერსიტეტის წილით, რაზეც დიდი ხანია ოცნებისენ ქართველი ელინოლოგები. ახლა ბევრი ინსტიტუტი უნივერსიტეტში, მაშინ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაზე ორიენტირებული დაწესებულებები ჯამშიანული ყოფილია – მეცნიერული კლასიკური ფილოლოგის კათედრა, რომელსაც იმსანად მე ვხელმძღვანელობდი და ამავე დროს ვიყავი უნივერსიტეტის პრორექტორიც, რომ გავხსენით ახალი ბერძნულ ფილოლოგიის განყოფილება. შეხვედრისას მკითხა, რა შემიძლია გავაკეთო თქვენი დარგისთვის, ზოგადად, უნივერსიტეტისთვის. მე ვუპასუხე, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება თუ მოგახერხებთ და გავხსნით ინსტიტუტს, რომელიც გააერთიანებს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ ყველა დარგს და ეს მოხდება უნივერსიტეტის წილით, რაზეც დიდი ხანია ოცნებისენ ქართველი ელინოლოგები. ახლა ბევრი ინსტიტუტი უნივერსიტეტში, მაშინ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაზე ორიენტირებული დაწესებულებები ჯამშიანული ყოფილია – მეცნიერული კლასიკური ფილოლოგის კათედრა, რომელსაც იმსანად მე ვხელმძღვანელობდი და ამავე დროს ვიყავი უნივერსიტეტის პრორექტორიც, რომ გავგიტან, რამაც, იმ დროისათვის (90-იანი წლები), ჩვენი დარგის გადამოწმენის საშუალება მოგვცა – შევექმნით საგამომცემლო პროგრამა „ავროგსა“ და შესაბამისად, ავანტვერც წიგნების ბეჭდვებს საქმეც. გამოწმენდა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოება, შესაინშანი სერია იყო „ბერძნული მითების სამყარო“ 10 წიგნად. იმ პროექტებიდან კი, რასაც ახლა ვახორციელებთ, უმნიშვნელოვანესია ენციკლოპედია „ანტიკური ეკავასია“, რომელიც რამდენიმე ტომაზ გამოვა. როცა მისი გამოცემა დასრულდება, ჩემი ვალი, ჩვენი **ALMA MATER**-ის წინაშე, მოხდება დაწესებულება ჩავთვალო.

რამ განაპირობა რელიგიის უსტორის
კრჩვით საგნალ გემოტანის კუცილებლობა

ლალი პელაძ

სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხი საზოგადოებაში დიდი ხანა, სადაც თემადაა ქეცეული. რელიგიის სწავლების შემოტანა ჯერ კიდევ ნინამორბედი მინისტრების დროს განიხილებოდა, მაგრამ „სვლა“, რომელიც სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების არჩევით საგნად შემოსვლას გულისხმობს, ამჟამინდელმა მინისტრმა დაანონცა და მას წინ პატრიარქის ქადაგებაში გაჟღერებული აზრი უძლოდა. „მიმართია, რომ რელიგიის ისტორია, როგორც არჩევითი საგანი, კველა სკოლაში უნდა იყოს და მივდივართ აქეთკენ“ – განაცხადა ცოტა ხნის წინ მიხეილ ჩხერიელმა.

გადაწყვეტილების მიმღებთა აზრით, ეს ნაბიჯი მიმართულია სკოლებში ძალადობის პრევენციისკენ. ბუნებრივა, რელიგიის სხვალების თემის კიდევ ერთხელ ნამოწევას, საზოგადოებაში ამჯერადაც მოჰყვა აზრთა სხვადასხვაობა. პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, **მარიამ ჯაშის** აზრით: „ტრადიციულ რელიგიებთან დაკავშირებით სწორი ინცორმაცია, ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას, არა-მედ იმ არასწორ დამოკიდებულების აღმოფხვრას, რომელიც დღეს მსოფლიოში ვერდება, თუნდაც ისლამის რადიკალური მიმართულებების თვალსაზრისით.“

თემის აქტუალობიდას გაძოვდისაოე, ხ თემებისას, ტოლე-რანტობის ინსტიტუტის (TDI) ორგანიზებით, ნატოსა და ევრო-

კავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში გამართა დისკუსია „საჯარო სკოლა და რელიგია“. დისკუსიაში, რომელსაც TDI-ის გამგეობის წევრი, **მორამ დავთაძე** უძღვებოდა, მონაცილეობდნენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასამართლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი მარიამ ჩიქობავა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლისა სახელობის განათლების ცენტრის თავმჯდომარე, მიტროპოლიტი **იოანე გამრეველი**, საქართველოს ეკანგელიურ-ბათქოსტური ეკლესის ეპისკოპოსის რუსულან გოცირიძე და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის დირექტორი **შალვა ტაბატაძე**.

მომზესენებლებმა ისაუბრეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ბოლოდროინდელ ინციატივაზე საჯარო სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების შესახებ, მიმოიხილეს რელიგიის თავისუფლებასა და ზოგად განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რელიგიური ნეიტრალობის დაცვის, პროზელიტიზმის, ინდოქტრინაციისა და დისკრიმინაციის კუთხით საჯარო სკოლებში არსებულ მდგრადობა, სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსი, გრიფირების ახალი სტანდარტები და ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში რელიგიასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

დღეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რელიგია და მასთან დაკავშირებული საკითხები სკოლებში ყველა საფეხურზე ისწავლება და გადანაწილებულია ისეთ საგნებში, როგორიცაა: ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება. როგორც სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, მაგალითად, საბაზო საფეხურზე, ისტორიის, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების სწავლება, სხვა საკითხებთან ერთად, მოსწავლეს უნდა დაეხმაროს რელიგიის რაობისა და მნიშვნელობის გან-

საზღვრაში, წარმოდგენა შეუქმნას მსოფლიოში არსებული რელიგიური სისტემების მრავალფეროვნებაზე. სტრატეგიის მიხედვით, სწავლების შედევები თვალსაჩინოა, თუკი, მაგალითად, მეტა-მეცნიერებების კლასის მოსწავლე ასახელებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უძლიერსობებს, რუკის დახმარებით აღნიერს საქართველოს მოსახლეობის ეთნოჯურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას, აღნიერს საქართველოში მცხოვრებ ეროვნების საოჯახო თუ რელიგიურ დღე-სასწაულებს და ავლებს მათ შორის პარალელებს; თუკი, მაგალითად, მეშვიდე კლასის მოსწავლე ჯგუფური მუშაობისას, რომელიმე ქვეყნის მაგალითზე, მსჯელობს რელიგიური ტოლერანტობის შესახებ (როგორც წარსულში, ასევე დღეს), რუკაზე უჩვენებს მისთვის ცნობილი რელიგიების წარმოშობის ადგილებს, გავრცელების დღევანდელ არაალებს და ჩამოთვლის მათთვის დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკულტო ძეგლებს, სიმბოლოებსა და ტრადიციებს და ა.შ. ანუ, დღეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლებში რელაგია ისწავლება და, თუკი სტრატეგიას დავყერდნობით, წესით და ითვალისწინებული უნდა ისტავლებოდეს საკმარის საფუძვლიანადაც, „მე ვიქენებოდი ძალიან ბეჭდიერი, რომ მოქმედი სტანდარტი ხორციელდებოდეს და, რაც აյ წერია იმას ვალევდეთ. — ამბობს სამიერალაქი ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისის ურთიერთობების ცენტრის დირექტორი შალვა ტაბატაძე. მისი აზრით, საკამათო სულაც არ არის საკითხი, უნდა ისწავლებოდეს თუ არა რელიგიის ისტორია სკოლებში და ამაზე დროის დახარჯვა არ ღირს: „რელიგიის ისტორია, დიახ, უნდა ისწავლებოდეს სკოლებში და რელიგიების შესახებ ინფორმაცია უკვე არის ინტეგრირებული სხვადასხვა საგანმანათლებლოს მიერთებული საქართველოში და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს ჰქონდეს ბაზისური ცოდნა ყველა რელიგიის შესახებ, რომ შეძლოს მშვიდი თანაცხოვრება. საკამათო სხვა საკითხი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ვერანაირი დასაბუთება ვერ მოვისმინე, რატომ არის საჭირო რელიგიის ისტორიის, როგორც ცალკე საგნის, უფრო ზუსტად კი — არჩევითი საგნის შემოტანა. ეს ნიშნავს იმას, რომ ის საკითხები, რაც დღეს, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სავალდებულოა და გადანაინილებულია სხვადასხვა საგანმანათლებლოს ერთი — არჩევითი საგნის ქვეშ. ეს კი შეიძლება იყოს უკან გადადგმული ნაბიჯი, რადგან, შესაძლოა, რელიგიის ისტორია არც ერთმა სკოლამ არ აირჩიოს და, შედეგად, მოსწავლები დარჩენებ ესოდენ მნიშვნელოვანი ცოდნის გარეშე. მნიშვნელოვანი საკითხი ფინანსური რესურსის გამოიძგნაც. მიუხედავად მზრდი მონაცემებისა, განათლებაზე დახარჯული თანხა მაინც ძალიან მცრავა და არ არის საკმარისი.“

რამდენად სწორი ნაბიჯი შეიძლება აღმოჩნდეს, საგანმანათლებლო და განათლების პოლიტიკის კონტექსტში, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასეთი ცვლილება? შალვა ტაბატაძე ის ხუთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ჩამოთვალა, რომლის გამოცმიანია, რომ ეს არ იქნება სწორი ნაბიჯი: „პირველი და მნიშვნელოვანი კომპონენტი – საგანი შემოდის არჩევითი სახით, ეს ნიშნავს, რომ რაც დღეს სავალდებულოდ გაფანტულია სხვადასხვა საგანში უნდა გაერთიანდეს ერთი საგნის ქვეშ. ჰიპოთეტურად, რელიგიის სწავლების კუთხით, ეს უკან გადადგმული ნაბიჯია.

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ამ პროცესს ახლავს და მსჯელობა, სწორედ ამ მიმართულებით უნდა მიღიოდეს, ინტეგრირებულ სწავლებას ეხება. მაშინ, როცა მთელი თანამედროვე მსოფლიო და პედაგოგიკა მიზანს თემებისა და საგნების ინტეგრაციის სკონის ჩენები, ჩვენ იმაზე ვსაუბრობთ, რომ პირიქით, დაკაფურმაციონ სხვადასხვა საგნები. ეროვნულ სასწავლო გეგმებში შევდებით საგნებს, რომლებიც კვირაში ერთი სათი ისწავლება, როცა გაცილებით უფრო ეფექტური იქნება მათი ინტეგრირებულად სწავლება. ინტეგრირებული სწავლება, სწორედ რომ, უკეთესი აკადემიური, კონსტური და საგანმანათლებლო შედეგების მატარებელად. მე, როგორც განათლების სპეციალისტს, მტკრდება დასაბუთება, რომ ცალკე აღებული საგანი, აკადემიური და საგანმანათლებლო რეფორმის თავალსა ზრისით, უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური იქნება. თუკი მის დასაბუთება არსებობს რამე კვლევით, ეს ბატონობრივი მაშინ ეს ჩემთვის მომართვის განვითარების მიზანის მიხედვით უნდა გადადგმული ნაბიჯია.

საღები იქნება და საკამათო საკითხადაც აღარ იქცევა. მესამე მნიშვნელოვანი საკითხი კადრებს უკავშირდება. განათლების პოლიტიკის კონტექსტში სხეულმწიფომ უნდა გააკეთოს კონკრეტული და ძალიან სწორი არჩევანი. როგორი სისტემა სტირდება მას – სისტემა, რომელიც იქნება უფრო ინტეგრირებული, სხვავებაზე ორიენტირებული, რომელსაც ნაკლები მასწავლებელი და სტირდება თუ პირიქით, დაქუცმაცებული და მეტი მასწავლებლით. შესაბამისად, როგორც სისტემას ნაკლები მასწავლებელი სტირდება, იმის ალბათობაც იზრდება, რომ გაცილებით მეტი კალიფიციური მასწავლებელი ჰყავდეს; უზრო დიდია იმის შესაძლებლობაც, რომ სახელმწიფომ აზ ნაკლები მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე უფერტურად იზრუნოს. ამის გარდა, მასწავლებლებში პრესტიგის ამაღლების და ხელფასის ზრდის შესაძლებლობაც მატულობს. ძალიან მარტივი გამოსათვლელია – 65 ათასი კავალიფიციური მასწავლებლის მოქმედნა 3 მილიონ-ნახევრიან ქვეყანაში უფრო ადვილია თუ 20 ათასი მასწავლებლის? მთ უფრო მაშინ, როგორც სასწავლო პროცესი შეიძლება ისე დაიგეგმოს, რომ მასწავლებლების ნაკლები რაოდენობა გახდეს საჭრო? საინტერესოა, რა არჩევანს აკეთებს სახელმწიფო – რაც შეიძლება ბევრი მასწავლებელი ჰყავდეს და მათგან უტემესობა არაკალიფიციური, თუ პირიქით, ახდენს ინტეგრირებას, რომელიც, სხვავლების თვალსაზრისით, უფრო ეფუძნულიყოს ამ



სერია და რეპიგნა

საგნებს, მათ შორის, რელიგიის ისტორიას, კვალიფიციური მასწავლებლებით. კონტროლურებითად ხშირად მოჰყვავთ, რატომ არ შექმნდა იგივე პოზიცია „მე და საზოგადოებასთან“ მიმართებაში. სხვათა შორის, აქაც იგივე პოზიცია მქონდა. ჩემი აზრით, დაუკუმაცებულად ცალკე საგნის გამოყოფა არც ამ მიმართულებით იყო სხორი მიღებომა. ამ მიმართულებითაც, განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით, ინტეგრირებულად სწავლება უფრო სწორი მიღებომა.

მეოთხე კომპონენტად გამოვყოფ ფინანსურ რესურსს. ყველამ კარგად ვიცით, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ჩეგი არ გვაქვს ფუფუნება და რესურსი დიდი ფინანსურ დანახარჯები გავწიოთ სწავლებაზე, ეს რესურსი, საბოლუჟეტო თვალსაზრისით, საკმაოდ ძებლუდულია. როცა ეკროპული გამოცდილება მოგვყავს, სადაც რამდენიმე მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს კონკრეტული საგნის სწავლება, მას სახელმწიფო უზრუნველყოფს. მნირ ფინანსურ მდგომარეობასთან ერთად, იმის გამოცდილებაც გვაქვს, თუ როგორ არ მუშაობს ჩეგნთან არჩევითი საგნების სისტემა. დამატებით რესურსების მობილი ზებაა საჭირო იმისთვისაც, რომ სახელმძღვანელოები შეიქმნას და მასწავლებლები გადამზადდენ. აუცილებლად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არჩევით საგნებში სახელმძღვანელოების გრიფირება და სკოლაში შეტანა განსხვავებული პროცესია. დღეს ეროვნული სასწავლო გეგმით 30 არჩევითი საგანი გვაქვს, სახელმძღვანელო კი – მხოლოდ სამი. ეს ნიშავს, რომ სახელმწიფომ სახელმძღვანელოთი უნდა უზრუნველყოს არჩევითი საგნები, დამატებითი ფინანსური რესურსების ხარჯზე. ცალკე საკითხია, რამდენად ეფექტური იქნება სახელმძღვანელო, როცა ავტორები სახელმწიფოს დაკვეთას პირდაპირ შეფუთვის წესით შეასრულებენ, ხოლო რამდენად ჯდება ეს ზოგადი განათლების პოლიტიკაში, ცალკე პრობლემაა.

განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით, გადაწყვეტილება, რომ ეს საგანი არჩევითი საგნის სახით შემოვიდეს, რა თქმა უნდა, კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ რელიგიის ისტორია რომ უნდა ისწავლებოდეს, ეს საკამათო საკითხი არ არის. ამიტომ, მოდიოდ ვიმსჯელოთ არა იმაზე, ისნავლებოდეს თუ არა, მით უმეტეს, რომ ძალიან კარგად ისწავლება სტანდარტის მიხედვით, არამედ იმაზე, რა მიღვმები გამოვიყენოთ უკეთესი ძელებისას მისაღებად, ან იმზე მაინც ვიმსჯელოთ, ცალკე საგნის შემოტანით განათლების რა ფულტებს მივიღებთ. უმატერის მაინც ის არის, რად განაპირობა საგნის ცალკე საგნად შემოტანის აუცილებლობა. სწორედ ამის დასაბუთებას ვეღია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან – ძალიან მაკაფიოდ და არგუმენტირებულად უნდა გვითხრას, რომ ინტეგრირებული სწავლებით შედეგებზე ვერ გავიდა და არჩევითი საგნის შემოღებით ამ შედეგს მიაღწევს. ეს დადგმდე არ მომისმენაა, არაუა სამის კულტოობრივი საკარის არა ის რაოდინი ის-

არადა სადისკუსიო თემა სხვრცელ ესაა და არა ის, რელიგიის ის-
ტორია ისნავლებოდეს თუ არა სკოლაშა.“

როგორია დღეს ის სასწავლო გარემო, სადაც ბავშვი უნდა
გაიზარდოს შემწყნარებელ, მიმღებელ მოქალაქედ და აფასებ-
დეს საკუთარ ქვეყნის ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ
მრავალფეროვნების, არის თუ არა სკოლა ნეიტრალური მრა-
ვალფეროვნების მიმართ და როგორ ხედავნ საკუთარ თავს
არადომინაციური რელიგიური ჯგუფების ნარმობნდებები –
ამ თემებს შეეხი ეპსკოპოსი რუსუდან გოცირიძე. ჩან ისაუბრა
საჯარო სკოლებში არადომინაციური რელიგიური ჯგუფების
მოსწავლეების მიმართ არსებულ დისკრიმინაციულ სასწავლო
გარემოზე, მოსწავლეების მიმართ ინდოექტრინაციის პრაქტი-
კასა და იმ რისკებზე, რაც ახალი საგნის პროფილურმა სწავლე-
ბამ შეიძლება გამოიწვიოს.

ମନ ଅସ୍ରେୟ ନିଶ୍ଚାଦରୀ ସାକ୍ଷାଳକ୍ରମ ଧାରମ୍ପ୍ରେଲାତନ ଅର୍ଶେସ୍ତୁଲ ରେଣ୍ଡି-
ଗୋଟାତା ସାକ୍ଷରୀ ର୍ଯ୍ୟାମର୍ଥନ୍ଦାପ୍ରିୟତ୍ତ୍ୟ, ରମଲାଧିଶ୍ଵର ଅଶାଖୁଲା ସାଜ୍ଞା-
ରମ କ୍ଷାପନ୍ତିଶ୍ଵର ରେଣ୍ଡିଗୋଟିଏ ତାଙ୍କିଶ୍ଵରପ୍ରତ୍ୟେବିଲା ଓ ରେଣ୍ଡିଗୁରୁରୀ ନ୍ୟ-
ବିତ୍ତରାଲୋପିଲା ଫ୍ଲାପ୍ରତ୍ୟେବି ମେରିଗୁ ଅର୍ଶେସ୍ତୁଲ ଧରନିଲେବ୍ରେବି ଓ ନାରମନ୍ଦ-
ଗ୍ରହନିଲା ଶ୍ରେଷ୍ଠାମିଲା ର୍ଯ୍ୟାମର୍ଥନ୍ଦାପ୍ରିୟବୀ. ମିତ୍ତବ୍ସିଲାକୁ ଉପିର୍ବ୍ୟଲେସି
କିଟିବ୍ସା, ତୁ ରାତ୍ରିମ ଗାହିନ୍ଦା ଅମ ନିର୍ମାତିଗୋଟିଏ ଆୟତ୍ତିଲେବ୍ରାନ୍ତା?

„მოუხედავად იმისა, რომ ჩვენს ეროვნულ სასწავლო პროგრამაში ამ დოზით ყოფილა განერილი რელიგიურის შესახებ სწავლება, ის ფორმა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაშია და ფონიერის დონე, გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ძალაან ცოტა რამ იცის რელიგიური მრავალურ-როვნების შესახებ, რომლის ანარეგლიცაა ამ დოზით მოუღებ-ლობა და შეუწყისარებლობა. როგორც ჩანს, ერთ მოერთა ამ პრობლემას ის პროგრამა, რომელიც სახელმძღვანელოებში გვაქვს. ლოგიურია, რომ ადამიანებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლება დაიძლიოს სიძულევილი და შეუწყისარებლობა.

ର୍କ୍ୟାମ୍ବର୍ଦ୍ଧାତ୍ରୀଙ୍କ, ରୋମଲ୍ଲାହାତ୍ ଶ୍ରେଣ୍ମିଶ୍ଵାସେ, ଶ୍ରେଷ୍ଠାବ୍ଦୀ ଶାଖିରେ
ପ୍ରମାଣିତ ଗାନ୍ଧାତ୍ରୀଙ୍କର ସାମିନିକିତରାମ ମୋହିଥାଏବିନ୍ଦା ଫଳ-
ଜୀବନକ୍ରିୟା, ରାମ ଧାରମାର୍ଯ୍ୟାବନ୍ଦା କ୍ଷୁଣ୍ଣିଲୋଚନ ଅନ୍ତର୍ଜ୍ଞାନୀଙ୍କ,
ର୍କ୍ୟାମ୍ବର୍ଦ୍ଧାତ୍ରୀଙ୍କର ମାତା କ୍ଷୁଣ୍ଣିଲୋଚନ ସିଂହର୍ବ୍ୟାପୀନୀ।
ମେହରୀ ର୍କ୍ୟାମ୍ବର୍ଦ୍ଧାତ୍ରୀଙ୍କ ଶ୍ରେଷ୍ଠାବ୍ଦୀ ମରମାଗାଲ ଶ୍ରେଷ୍ଠାବ୍ଦୀଙ୍କରେ, ରୋମ-
ଲ୍ଲାହାତ୍ ଆଶ୍ରମ ଶ୍ରେଣ୍ମିଶ୍ଵାସେ ଶ୍ରେଷ୍ଠାବ୍ଦୀଙ୍କରେ ଅରୀନାନ୍, ମାତା ଜ୍ଞାନିକା-
ଲ୍ଲାହାତ୍ ଶ୍ରେଣ୍ମିଶ୍ଵାସେ ବ୍ୟାକାନ୍ ବ୍ୟାକାନ୍ ମନୀଶ୍ଵରାଲୋଚନା ଶାବାନୀ, ରୋଗରାମିତ୍ରାମ
ମରମାଗାଲ ଶ୍ରେଣ୍ମିଶ୍ଵାସେ ଏବଂ ମିଳି ମାରିତ୍ରାମ, କନ୍ଦନ୍ତାକିର୍ତ୍ତୁର ସିଂହାତ୍ମିକ-
ବିନ୍ଦିର ମାରିତ୍ରାମ ଏବଂ ଡା. ଡେ. ହିନ୍ଦୁନାନ୍ ନିନ୍ଦାକିର୍ତ୍ତୁର ପ୍ରମାଣି-
ତାମାର ଶ୍ରେଣ୍ମିଶ୍ଵାସେ ଶ୍ରେଣ୍ମିଶ୍ଵାସେ ମୋହିଥାଏବିନ୍ଦା ଫଳ-
ଜୀବନକ୍ରିୟା, ରାମ ଧାରମାର୍ଯ୍ୟାବନ୍ଦା କ୍ଷୁଣ୍ଣିଲୋଚନ ଅନ୍ତର୍ଜ୍ଞାନୀଙ୍କ,
ର୍କ୍ୟାମ୍ବର୍ଦ୍ଧାତ୍ରୀଙ୍କର ମାତା କ୍ଷୁଣ୍ଣିଲୋଚନ ସିଂହର୍ବ୍ୟାପୀନୀ। ରୋମା ଶାଖାବାନୀରେ

რელიგიის თემის ნარმომადგენლები, ამ არჩევანის ფონზე, შესაძლოა კიდევ ერთხელ გახდნენ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის (დომენბისის) მსხვერპლით. ამ დემოკრატიული ინსტრუმენტის შემოთავაზების ქვეშ, ზუსტად ამის გაუთვალისწინება-ლობას ვგრძნობ. ვამბობთ, რომ საგანი არჩევითი უნდა იყოს. მა-მინ რა პასუხი გვაქვს იმაზე, როცა 35 ბაგზიღან 34 არჩევს სა-განს, რა პასუხს ვაძლევთ იმ ერთს, რომელიც არ ნარმომადგენს რელიგიურ უმრავლესობას? რას ვუპირებთ იმ განნებობებს, რო-მელიც უმრავლესობის განწყობები არ არის?

ამას ნინათ, ჩემი შეიღლის თემას წავანებდი, რომელიც სკოლა-
ში სწავლის პერიოდში დაწერა, ახლა ის უკვე სტუდენტია: „ერთ-
ძალიან ჩვეულებრივ დღეს მოხდა ისეთი რამ, რამაც სრულად
შეცვალა ჩემი ცხოვრება. მაშინ 10-11 წლის იყენებოდა. ვიჯექი
გაცვეთილზე, მასწავლებლი კი ჰყვებოდა ამბავს, როგორ გადა-
არჩინა გათოლმადიდებლობამ ჩვენი ქვეყანა. უცცებ მონაცერული
თვალები მოავლო კლასს და იკითხა: არს კლასში არამართლმა-

დღიდებელი მოსწავლე? თუ არის, ადგეს ფეხზე. მე ვიკეპედი, დაცუც-ქეროდი საკუთარ ხელძეს, გული გამაღლებით მიცემდა, თავი ჩა-ქინდრული მქონდა და ვცდილობდი არ შემეხედა თვალებში არც მასწავლებლისა და არც კლასელებისათვის. მეგონა, რომ თუკი მათ არ შეეხედავდი, ისინი ვერ მიხვდებოდნენ, რომ მე ვიტყუე-ბოდი. ეს იყო ყველაზე გრძელი და ყველაზე სამინელი წამები ჩემს ცხოვრებაში. პირველად ვიგრძენი, რომ ჩემს საუკეთესო მეგობრებს საიდუმლოს ვუმაღლავდი. გაკვეთილი ისე გაგრძელ-და, თითქოს არც არაფერი მომხდარა, თუმცა ჩემთვის იმ გაკვე-თილის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. მე ვიცოდი, რომ ჩემი იჯახი, ძროტესტანტი ქრისტიანები, საქართველოსთვის ჩვეუ-ლებრივი მოვლენა არ იყო. და ვიცოდი, რომ ბევრ ადამიანს ესა არ მოსწონდა. ამიტომ, ვიცოდი, რომ თუკი ჩემი ან ჩემი იჯახის შესახებ ვინობე ცუდს იტყოდა, მე ხმა უნდა ამომელო, მაგრამ რო-დესაც ფაქტის წინაშე დავდევი, სკამიდანაც კი ვერ წამოვდექი. მე ვკითხულობდი ამბებს ადამიანებზე, რომლებიც ძალადობას, უსამართლობას აპროტესტებდნენ, სწირავდნენ თავებს იმი-სათვის, რისიც სჯეროდათ. და ისინი ჩემი გმირები იყვნენ. გაკ-რული მქონდა მათი პოსტერები კედლებზე... და უცემ აღმოვა-ჩინე, რომ მე ვუძღლატე საკუთარ თავს და ვუდალატე პო-ტერს, რომელიც ასე ძალან მიყეარდა. ნუთუ ვერაცერი ვასწავ-ლე მისგან? პარი პოტერმა გაღლშერა ვოლდემირის წინააღმ-დეგ. მე კი რა გავაკეთე? სახლში დაბრუნებულმა მშობლებს მო-უჟევი იმ დღის ამბავით, მიუვყევი ჩემი საჭიროების შესახებ, არა და, როგორ მინდოდა მეთქვა, რომ მე ისინი დავიცავი და მამა-ცურად ვიდექი. ახლა, როცა მეშინია ხოლმე, ვიხსენებ იმ დღეს და 10 წლის გოგოს გრძნობებს. და ეს შშველის..."

რამდენიმე წლის შემდეგ ეს ბავშვი ძალიან თამამად გამოყენდა ერთ-ერთ გადაცემაში, საჯაროდ იჯდა ჩემ გვერდით და აღარ ეშინოდა აღარც მასნავლებლის და აღარც მოსნავლის, მაგრამ დამერწმუნები, რომ აქ დარბაზში სხედან უმცირესობის ნარმომადგენლები, მშობლები, მასნავლებლები, ნინამძღვრები და მათაც კარგად იციან მსგავსი შემთხვევების შესახებ. ჩვენთან მოსულა უამრავი ატირებული მშობელი თუ ბავშვი, რომლებიც თავისი სიჩუმით ატარებენ იმ ჭრილობებს, შიშეს, რომ არ ენდობიან არც თავის მეგობრებს, აღარც თავის საყვარელ მასნავლებლებს, როდესაც საქმე მიდგება რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. იმიტომ კი არა, რომ მშიშრები არიან ან ესირცხვილებათ თავიანთი რელიგიური იდენტობა, იმიტომ, რომ ტელევიზიონიდან, მედიიდან, ქარიდან, პოლიტიკოსებიდან, ყველა მხრიდან ვერძნობთ და ვხედავთ როგორი არამიღებული განხყობაა მრავალფეროვნების მიმართ ჩვენს საზოგადოებაში, მათ შორის სკოლებში.

ჩევნი მონადინება იყო, განათლების სამინისტროსთვის შეგვეთავაზებინა ამ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. თავისთავად, ცოდნა რელიგიური მრავალუჯეროვნების შესახებ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფონზე და ამ რესურსებით, ისტაცია გადატაცებულ ქვეყანას, კიდევ ახალ ტვირთს ნულარ აცვადებს – გადაამზადოს 3331 სკოლასთვის (ზოგიერთ სკოლას ერთი მსსნავლებელი არ ეყოფა) მასნავლებლები. ჩევნი შეთავაზება იყო, გააქტივირებულიყო კლასებარეშე ინიციატივები, ეს შეიძლება მონადინება იყო, განათლების სამინისტროსთვის შეგვეთავაზებინა ამ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. თავისთავად, ცოდნა რელიგიური მრავალუჯეროვნების შესახებ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფონზე და ამ რესურსებით, ისტაცია გადატაცებულ ქვეყანას, კიდევ ახალ ტვირთს ნულარ აცვადებს – გადაამზადოს 3331 სკოლასთვის (ზოგიერთ სკოლას ერთი მსსნავლებელი არ ეყოფა) მასნავლებლები. ჩევნი შეთავაზება იყო, გააქტივირებულიყო კლასებარეშე ინიციატივები, ეს შეიძლება

იყო, გაერთიანებულიშვილი კლასიგთა იუსტიციურის, ის უქიმონი დღება ყოფილიყო სამინისტროს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ღობის თანამშრომლობით მომზადებული საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილები, ასევე, სკოლებს მორის კონკურსები, რომელიც ზუსტად ამ თვემატების ირგვლივ იქნებოდა შემუშავებული. ჩვენი ინიციატივა იყო, რომ ეს კურსიები, რომელებიც ქაოსურ ფორმას და ხსიათს ატარებს დღევანდელ სკოლებში, სასკოლო ცხოვრების ეს ძალიან საინტერესო ლეგენდაზე, გამოყენებული ყოფილიყო სწორედ ამ ცნობიერების ასამაღლებლად. ჩვენი ინიციატივა იყო, გაცვლითი პროექტების გაკეთება, მაგალითად, მუსლიმი ბავშვები ესტუმრებოდნენ ქრისტიანულ რჯახებს და პირიქით. სხვადასხვა რამებზე შეგვეძლო საუბარი, რაც ნაკლებ საფრთხეებს შეიცავს.

როცა მასნავლებელი საკლასო თოახის კარს მიიხურავს, მერწმუნეთ, მნიშვნელობა არა აქვს როგორი სახელმძღვანელო უფირავს ხელში ან როგორი ძვირადღირებული პროცესი უძღვის მის შექმნას ნინ, რა ტრენინგები ჩაუტარდა, აქ უმთავრესია სწორედ მასნავლებელია. ძალიან ბევრ ტრენინგს დაკავშირებივა მრავალფეროვნების მიმართულებით, თავადაც ჩამიტარებია და გეტყვით, რომ მასნავლებელი არის ერთ-ერთი უმძიმესი კატეგორია, რომელთანაც ვყელაზე დიდი სამუშაოა ჩასატარებელი მრავალფეროვნების მიმართულებით. ვფიქრობ, განათლების სამინისტრომ ვყელაზე დიდი ძალისხმევა სწორედ აქეთ

უნდა მიმართოს. კარგად უნდა იყოს გათვლილი საფრთხეები და მოსალოდნელი შედეგები, რომელიც ინიციატივით ველოდებით, რადგან „მარგალიტი“ პროდუქტი ბევრ კარგ რამებს შეცვლის, მაგრამ გაუთვალისწინებელი დეტალებით შეიძლება მონაცემი მიიღოთ. რასაკირველია მინდა, ჩემი ქვეყნის ახალგაზრდებმა, რაც შეიძლება ბევრი რამ იცოდნენ რელიგიის ისტორიების შესახებ, მაგრამ ეს ცოდნა მათ უნდა მიენიჭოს გააზრებულად და ყველა საფრთხოი გათვალისწინებით.“

შეხვედრაზე დასმული მთავარი კათხვის ადრესატი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იყო — რის საფუძველზე გახდა აუცილებელი რელიგიის ისტორიის არჩევით საგნაზე-მოტანა? მართა ჩიქობავა განცხადებით: „თუკი სამინისტროს ნაფიქრი არ აქვს, რა საფუძველი არსებობს ახალი საგნის შემოსატანად, რა თქმა უნდა, სამინისტროს გადაწყვეტილება უპასუხისმგებლო იქნება. ამდენად, რა თქმა უნდა, ამაზე ნაფიქრია. მეტსაც გეტყვით, როდესაც „მე და საზოგადოების“ საგანი შემოდიოდა, ის დაეფუძნა კვლევას — სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი — რომელიც ეროვნული სასამართლო გეგმების დეპარტამენტმა განახორციელა. ჩვენ, დამხმარე ჯგუფთან ერთად, საქართველოს მასშტაბით, კვესრებიდით გაკვეთილებს და ვატარებით მონიტორინგს. ეს იყო თვისებრივი კვლევა, რომელმაც ძალიან ბევრი პრობლემა დაგვანახა. კვლევა, ასე ვთქვათ, მიღა დოკუმენტითა და არ გაგვისაჯაროებია. მისი მიზანი იყო სწორად დაგვევგმა შემდგომი ცვლილებები.

რელიგიის შესახებ კომპონენტები ნამდვილდად არის ინტეგრირებული სხვა საგრძნებში, მაგრამ ჩვენი მოსაზრება იყო, რომ, ზოგადად, ეროვნული სასწავლო გეგმის თამასა ცოტა მაღალია და სტანდარტები გადატვირთულია ამიტომ შეცვალდთ, დანეცხითი საფეხურის პროგრამა განვიტვირთა, ეიდევ უფრო მეტად განატვირთული იქნება საბაზო საფეხური. ამდენად, გარკვეული ნილად, ის კომპონენტები, რაც ასენეთ, ამოვარდა დაწყებით საფეხურზე და ოლარ იქნება არც საბაზოზე, თუმცა, ბუნებრივია, რელიგიის ნაწილი, რაც სხვა საგნებათან კავშირშია, დარჩება. რაც შეეხება საშუალო საფეხურს – რატომ ვამბობთ, რომ არჩევითი საგანი შემოვიტანოთ საშუალო საფეხურზე. საკითხს თუ ასე შეეხედავთ, რომ რაღაც ისნავლება დაწყებით და საბაზო საფეხურზე, არასწორი მიღვომა იქნება აღარ ვასწავლოთ საშუალო საფეხურზე. საშუალო საფეხურს კიდევ უფრო სხვა მიზნები აქვს. მთ უმეტეს, როცა სამინისტროს ინიციატივაა პროფილური სნავლების შემოღება, რაც სხვა-დასხვა პროფილის კიდევ უფრო გამოვეთას გულისხმობს. როგორც წესი, ჩვენი სნავლება დაუუნებულია სპირალზე – ეს ნიშანავს, რომ მაგალითად, ისტორიაში, გოგრაფიაში, საშუალო საფეხურზე, ესა თუ ის თემა კიდევ უფრო გაღრმავდეს. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებლად გვესახება, რომ, მოსნაგლეს, რომელმაც უფრო დაბალ საფეხურებზე გარკვეული ცოდნა შეიძინა ხელოვნებაში, რელიგიის კუთხითაც შეეხო არქიტექტურის ნიმუშებს, ასევე ლიტერატურაში, ისტორიაში, შესაძლებლობა მივცეთ, გაღრმავებულად ისნავლოს ყოველივე ეს სწორედ საშუალო საფეხურზე.”

საკუთრივ ბევრი კითხვა დასხვა იმის თაობაზეც, თავად პედა-
გოგები რამდენად შექმნიან სკოლებში ნეიტრალურ გარემოს,
რამდენად არაან ისინი მზად ამისთვის? – ეროვნული სსსწავლო-
გეგმების დეპარტამენტის უფროსი ამბობს, რომ სწორედ ამი-
ტომ არ არის საჭირო სიჩქარე, შესაქმნელია სტანდარტი, სახელ-
მძღვანელო და, რაც მთავარია, აუცილებელია პედაგოგია მიმ-
ზადება. „საგნის შემუშავების პროცესი ჯერ არ დახეცულა,
რადგან, ზოგადად, საშუალო საჯეხურის კონცეფციაზე ახლა
მიღის მუშაობა. სავარაუდოდ, მარტის ბოლოს სტევინის საშუალო სა-
ჯეხურის კონცეფცია შემუშავებული გვექნება და შემდეგ და-
ინციპია სტანდარტებზე მუშაობა. ვიციქონ, არ უნდა კიჩაროთ
დანერვება, რადგან საჭიროა სახელმძღვანელოების მომზადება
და პედაგოგების გადამზადება, მანამდე კი სხავლის დაწყება არ
ლირს“ – აცხადებს მარიამ ჩიქობავა. აქედან გამომდინარე, სკო-
ლებში რელიგიების ისტორიის საგანი, შესაძლოა, ორი წლის შემ-
დეგ ვიხილოთ, სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში
ჩართვის საშუალება კი ყველა დინოტერისტის მთარეს ექრიბა.

მანამდე კი, განათლებისა და მეცნიერებების სამინისტროს-
გან, შეხვედრის მონაბილები და საზოგადოება მთავარ კით-
ხვაზე — რამ განაპირობა „რელიგიის ისტორიის“ არჩევით საგ-
ნად შემოღების აუცილებლობა? — უფრო არგუმენტირებულ
პასუხს ელოდება.

მათოლელი

როგორ ვმუშაობ ლიტერატურულ პარალელებზე
ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობებისა და
ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „ნისეკვილის“ მიხედვით

მარინე სულაპველიძე







ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ ტექსტის იღეურ-მხატვრულ ანალიზს, რისთვისაც მოსწავლეები უნდა ფლობდნენ მხატვრულ ხერხებზე დაკვირვების უნარს, რათა ნაწარმოებში ამოიცნონ მწერლის ძირითადი სათქმელი. პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის, მხატვრულ ხერხებთან ერთად, მოსწავლეების ყურადღებას მიემართავ იმ საკვანძო სიტყვებსა და წინადადებებზე, რომლებითაც მოქმედი პირები საუბრობენ. ამას მასწავლებლები ლიტერატურულ სიგნალებს ვუწოდებთ. ამ სიგნალების გამოყენება ეფექტურია ორი საგნის ან მოვლენის შედარება-შეპირისპირებისას, განსაკუთრებით ლიტერატურულ პარალელურ მუშაობის დროს. ამის საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ როგორ ვასწავლი ნიკი ლორთქიფანიძის ნოველა „ნისქვილსა“ და ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხოვნებს: „მთის წყარო,“ „ხმელი წიფელი,“ „ია.“

ରାତ୍ରିମ ନୀକୁ ଲାଗିଥିଲା ଏହି ପାଶରେ ?

როდესაც ნიკო ლოროტექიფანიძის ნოველას – „ნისქვილს“ კითხულობ, არ შეიძლება თვალ-წინ არ წარმოგიდგეს ვაჟა-ფშაველას საბაგშვი მოთხრობები: „ ნყარო, „ია, „ხელი ნიფელი“. ისეთ სულიერ ნათესაობას ანცდები ამ ორ მწერალს შორის, რომ წყაროსა და იას ფიქრებს სა და სურვილებს თითქოს შეუერთდა მდინარისა და მუხის ფიქრები, „ნისქვილიდან“ და ერთ მთლიანობაში შეიკრა და შეიცსო.

მოგახსნებთ, რომ მოსწავლეები, VI-VII კლასებში, არ იცონონენ ნიკა ლორთქიფანიძის „ნიკევილს“ (ის საპროგრამო მასალა არ არის.) მათ წინასწარ ვუკითხავ ნოველას და დაფაზზეაზავ ლიტერატურული სიგნალების სქემას, რათა ანალოგიური სამუშაო შესრულონ ვაჟა-ფშაველას მოთხოვობების მიხედვით. ეს დავალება ხელს უწყობს ტექსტის დაწვრილებით შესწავლას, მთავარი და საჭირო ინფორმაციის ამოკრეფის უნარის განვითარებასა და ძირითადი სათქმელის ამოცნობას.


სეიმა №1. ნიკო ლორთქიშვილის „ნისძვლი“




ა ას ქედის წარმოდგენის შემდეგ მოსწავლებს ხმამაღლა ვაკითხებ ამონარიდებს და ჩემ მი-
ერ დასმული კითხვების საშუალებით ვიწყებთ წოველის გაანალიზებას. ეს კითხვებია: რატომ
ალპარაკებს ნიკო ლორთქიფანიძე მდინარეს, მუხას, წისვილის ქვას და მენისქვილეს ასევე
რისთვის იყვნენ ისინი მოწოდებულნი? რა სურდათ? რა ახარებდათ და რა ვერ მიიღეს ცხოვე-
რებისაგან? რა აქვთ მათ საერთო და განსხვავებული? რა აერთიანებთ მათ? სულის გაუტეხა-
ობა. მარადისობისა კინ ოტოლოვა და იმედო – არის პასუხი.

უცხო ტექსტის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ვავალებ, შინ შეასრულონ ანალოგიური სამუშაო და მონახონ ლიტერატურული სიგნალები ვაჟა-ფშაველას მოთხოვობებში: „მთის წყარო“, „ია“, „ხმელი წიფელი“. ისინი წარმატებითა და ხალისით ასრულებენ ამ დავალებას და შემდეგ გაკვეთილებზე ერთად ვაანალიზებთ და ვავსებთ მსგავსება-განსხვავებს სქემას. ეს დაგლობები მიიღებინ ასეთ სახეს:


სეიმა №2. ვაზა-ფრაველას „მთის ცენტრი



ასეთივე ფორმით წარმოადგენენ „ხმელი წიფელისა“ და „იას“ ლიტერატურულ სიგნალებს.



სქემა №3. მსგავსება-განსხვავება



ამრიგად, ამ სქემითაც კარგად ჩანს თუ რისი იმედი აქვთ და რით წუღშობენ ვაჟას გმირები: იას თავი მოსწონს იმით, რომ სანამ ცოცხალია, სილამაზით დაატკბოს და სურნელებას მიაფრქვევს არე-მარეს, რომ მისი ერთი თვის სიცოცხლე სჯობია სხვის ოცდაოთხის თვის სიცოცხლეს, არც გარშემო მყოფთაგან აკლია სიყვარული, მხოლოდ გული წყდება – „თუ გამარჩინე, უფალო, დიდი დდე რად არ მამეო“; მთის წყარო ბეჭინიერია მაშინ, როცა რწყავს მცენარეთ, დედამინის ლამაზ გულს, მხოლოდ ორი-სამი ვერსის სიგრძეზეა ბეჭინიერი და უცოდველი, შემდეგ შთანთქავს მოუსვენარი მდინარე, დაიკარგება მისი სახელი, მდინარე ათას ცოდვას ჩაადგინებს, მაღლასაც დაკარგავს. რიდესაც დაესიზმრა, თითქოს დამშრალიყო და ვეღარავინ შეველოდა, გულაკანენალებულს გამოელვითა, რომ დაინახა, მის წმინდა წყალს „ზურგზე რქებდაყრილი“, „ყელყურლამზიანი“ ირგმი დაწავებოდა, გულდამშვიდებულმა თქვა; „არავარ გამშრალი, არაო!“; ხმელ წიფელს კი „ღრმად ჩასჭედვია მწუხარება. ხანდახან გადმოიცეკერდება მის ერთს ფეხვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასაულს ყლორტს, რომელიც მზეს დაწვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ეს არის იმისი ნუგები“.

ნოველა „ნისქეილიც“ სიმბოლოებით დატვირთული ნაწარმოებია, უთუოდ აღძრავს ღრმა ფიქრებს ადამიანის ამქვეყნად არსებობის, სევდის, პრძოლისა და მარადიულობისაკენ სწრაფვის შესახებ. ამ არსებობის გზაზე არ არის უცხო ბედნიერება, სილამაზისა და სინმინდის შეგრძენება, გულისინვეტა, იმედგაცრუება, სევდა, პროტესტი, შურისძიების სურვილიცკი, მაგრამ მაინც იმედიანი ლტოლვა მარადიულობისაკენ. როცა ნიკო ლორთქიფანძე ამ ნოველას წერდა, ადამიანებს მოუწოდებდა სიყვარულისაკენ, ჰარმონიული თანაარსებობისაკენ („კარგი არ იყო, როცა მხარი მხარს მიდებული ერთმანეთს თავს ვევლებოდით მე და მინა. ჩემს კოცნას ცეცხლის ფრქვევით უპასუხდებდა.“ – ათქმევინებს ნისქეილის ქას). ეს არც თუ ისე ადვილია, მაგრამ არც შეუძლებელი. მდინარე, მუხა, ნისქეილის ქა და მოხუცი მერისქვილეც წარსულს სინანულით ისხენებენ, იმედი მაინც არ დაუკარგავთ, „...ამამღვრიეს, გამსვარეს... არაფერია, აი, ზღვაშიც მოვცხდები, იქაც კარგია, ფართოდ გავიძლები... ეს სილა და ტალახი მომშორდება.“ – ამბობს მდინარე, მუხაც ზღვისაკენ მიიჩქარის („...მოვიდეს ერთი ნიაღვარი... მე კი გავრენ ზღვისენ...“). მათ სწავათ, რომ აუცილებლად შეუერთდებიან ზღვას, ანუ მარადისობას, ნაწარმოების თავასურულობა ჩომ ასევე: „ყველას რაოდა იმავა აძირა“.

ამრიგად, ვაჟას აქ მოხმაბილი მოთხოვბების გმირებს მართლაც აქედან ასეთი: „ყველა არალც ისედი აეკითო .“ ამრიგად, ვაჟას აქ მოხმაბილი მოთხოვბების გმირებს მართლაც აქედან ასეთ საერთო ნიკო ლორთქულიანიძის ნოველასთან, „ნისკვილი.“ ისინი ერთნაირად განიცდიან ანწყოს, მაგრამ მიიღუდვიან სიცოცხლისაკენ, მარადიულობისაკენ (მენისკვილის სიტყვები: „არაფერია, დიდია ღმერთი, იქ კიდევ შევხვდები მათ, „მოუხედავად იმისა, რომ ყველა და ყველაფერი დაკარგა, განმარტებას არ საჭიროებს.“), ხმელ წიფელსაც წასვლია სიცოცხლის წიმანწყალი. სამი ტოტიდა შერჩენა შეუა წელს ქვეყნით, ზედა ტანი მოტეხილა და ხევში ჩაჩინატულა, გახილულა. ამ სამს ტოტში წელინადში მარტო ერთს გამოიუვა ხოლმე სამი თუ ოთხი ფოთოლი. „ეს არის ხმელი წიფლის სიკვდილის მოახლოება, მაგრამ საინტერესოა წიფლის ფესვებში ამოსული, ზამთარ-ზაფერულ მწვენე, ძირტკბილა. ეს ხომ ახალი სიცოცხლის დასაწყისია. ამას ხმელი წიფელიც გრძნობს „ხანდახან გადმოაცემრდება მის ერთ ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უკდის, რომ გაიზარდოს. ესლანა მისი ნუგეში.“

რაც შექება მხატვრულ ხერხებს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოგებების მიხედვით მოსწავლეებს არ უჭირთ მათი ამოცნობა. ეს არის გაიროვნება, შედარება, მეტაფორა. ხოლო ნიკო ლორთ-ქიფანიძესთან საოცარია ის მხატვრული ხერხები, რომლებითაც დაშვენებულია ნოველა. ასე გააცოცხლონ მდინარის სინმინდე და სისუფთავე მისი რუდ ყოფნის დროს („მძიებებივით თევზ-ზები დასრიალებდნენ ჩემს მკერდზე, ჩემს გულში“), მძიებებს შეადარო თევზი და ამით დაანახო მკითხველს ფერი, სივრცე და ასევე შეადარო ციბრუტს ნისქვილის ქვის ტრიალი („ნისქვილის ქვა ციბრუტივით ტრიალებს და უშვერად ილანძლება“), ან მარცვლების დაფქვის პროცესი – სეტყვას („ეს გლახაკი მარცვლები რომ არ იშლის, სეტყვასასავით მოდის“), არაჩეულებრივია. გაბიროვნება, მეტაფორები ემსახურებიან ძირითადი სათქმელის გამოხატვას, „ნისქვილში“ მდინარე, მუხა, ნისქვილის ქვა ბუტბუტებინ, ფიქრობენ, საყვედურობენ, სინანულს გამოხატავენ პარვანდელი სახის დაკარგვის გამო. თავს იმით ინუგებებენ, რომ ზღვას შეუერთდებიან. მართალია, შურისძიებაზეც ფიქრობენ, მაგრამ ეს შურისძიებაც ქარწყლდება, როცა

ნისქვილის ქვა ამბობს: „მოვა დრო და სიყვარულის ქსელი კიდევ შეგვბოჭავს“. ჩემი აზრით, ამ ნაწარმოებში ზღვა თავისუფლების სიმბოლოა, მდინარისა და მუხის ლტოლვა მისკენ მსოფლიო ცივილიზაციის ზღვაში შეცურვის ტოლფასა, რისთვისაც ოდით-განვე ვაძრძევით ქართველები. ეს ნოველა და ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხოვები არის თავისუფლებაზე, სიყვარულზე, ლერთის არსებობასა და უკვდავებაზე.

საჩუქრო ყვარლის ბაზა-ბაზე

ძიუდოს საბავშვო პროექტს – „judo kids“ ამ დღეებში კიდევ ერთი სკოლამდელი სახ-ნავლო დაწესებულება შეუერთდა: ქალაქ ყავრლის №2 ბაგა-ბალში ძიუდოს ახალი დარბაზი გაიხსნა, სადაც ძიუდოს სახლისო ვარჯიშები იქაურმა ბავშვებმაც დაიწყეს.

შეგასხვენებთ, რომ ამ პროექტის განხორციელებას საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ამ შარშან დაიწყო, თუმცა აქამდე, ძირითადად, დედაქალაქს მოიცავდა, ახლა კი ნელნელა რეგიონებშიც გავიდა. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, 10 ასეთი ჯგუფი მუშაობს, ყვარელში კი ეს პირველი შემთხვევაა. სახალისო პროექტი ითვალისწინებს ბავშვებისთვის ძიუდოს მარტივი ელემენტების – კოტრიალი, ბუქნები, ტატამზე მოძრაობა და სხვ. – თამაშით შესწავლის გზით, ეს პროცესი მოზარდებისთვის სახალისო და ძალდაუტანებელი გახადოს, რამაც მათ ძიუდოსადმი ინტერესი უნდა გაულივოს. ის ორ ასაკობრივ ჯგუფი – 3-4 და 5-6-წლიანებში ტარდება. თბილისის მაგალითზე თამამად შეიძლება

იმისა თქმა, რომ პროექტი ძალიან წარმატებული გამოდგა და მსურველთა მოზღვავებაც კი გამოიწვია. საინტერესოა, რომ ამ სახალისო ვარჯიშებში ჩართვა მშობლებსაც შეუძლიათ, რასაც ბევრი მათგანი აკეთებს კიდევ, ბავშვები კი, მშობლებთან ერთად, კიდევ უფრო მეტი ხალისით ვარჯიშობენ.

ყვარელში ამ დარბაზის გახსნა ადგილობრივი ხელისუფლებისა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ერთობლივი თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი, უახლოეს სანებში განზრახულია, ის სხვა სასწავლო დაწესებულებებშიც გავრცელდეს. ამ დარბაზის გახსნას საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი და, იმავდროულად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ევროპის ვიცე-ჩემპიონი დავით ქევხაშვილიც დაესწრო, პატარებს მასტერ-კლასი ჩატარა, მერე კი, ფედერაციის სახელით, სიმბოლური სუვენირები გადასცა. ამ დარბაზში მნიშვნელოვან ვანო გიგილაშვილი იმუშავებს, რომელიც ვარჯიშებს



კვარელის მთავრობის მიერ განვი
KVARELI CITY HALL

ქალთა ძირი უნდობენ

ახალი სპორტული სეზონისთვის გადამწყვეტ მზადებას შეუდგნენ ძირდოსასტი გოგონები, რომელებმაც ახლანან, 17-წლამდელებში, საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარება და გამოავლინება თავორთაში.

ეს ტურნირი მნიშვნელოვანი იმით გამოდგა, რომ შარშანდელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა მონაწილეთა რაოდენობა – 64 სპორტსმენი გამოვიდა. შესაბამისად, გაიზარდა გეოგრაფიაც და ქალთა ძიუდოსთვის აქამდე ტრადიციულ ცენტრებს – თბილისი, აჭარა, საგარეჯო, ახლა სვანეთი, სამეგრელოს ზოგიერთი მუნიციპალიტეტი და ახალციხე დაემატა, უფრო მეტი მონაწილე გამოვიდა გორიდან, ქუთაისიდან... ერთი სიტყვით, საქართველოში ქალთა ძიუდოსადმი ინტერესი განუხრელად იზრდება, რაც მისასალმებელი დაჭატია.

თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ახალგაზრდებესა და უფროსებში არაა იმდენი მოვარჯიშე გოგონა, რომ ჩემპიონატი ჩაატარონ - შერჩეულია კონტინგენტი, რომელსაც ამზადებენ საერთაშორისო ტურნირებში საჭიდაოდ, მაგრამ ჭაბუკებში მასობრიობს ასეთი მატება იქაც გაზრდის რაოდენობას, რაც შედეგებზეც აისახება. ეს ლოგიკური პროცესიცაა, რადგან ჭაბუკებმა უნდა მისცენ შევსება ასაკით უფროს გუნდებს, ანუ ქალთა ძიუდოს შენება საძირკულიდან იწყება.

აბ გუნდმა, ბოლო წლებში, მშვენიერი შევსება მისცა ახალგაზრდულ ნაკრებს. თაობათა ცვლა წლეულსაც გვარიანად შეეხო – ახალგაზრდებში გადავიდნენ ევრო-პული ფესტივალის გამარჯვებული და მსოფლიოს პრიზიორი მარიამ ჭავჭავაძე (70) და ევროპის ჩემპიონატისა და ევროპული ფესტივალის ჩემპიონი, მსოფლიოს ფინალისტი სოფიო სომხიშვილი (+70). ასეთი „დამრტყელი ძალის“ გამოცდის მიუხედავად, ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია თენაძე მაინც იმედიანადაა: შარმანინაც ასე იყო, როცა ორი გამორკვეთილი ლიდერი – ევროპის ჩემპიონი მზაა ბებოშვილი და ევროპული ფესტივალის გამარჯვებული ეთერ ლიპარტელიანი (ორივე – 52) გადავიდნენ ახალგაზრდებში. მათი შეცვლა იოლი არ იყო, თუმცა ჭავჭავაძისა და სომხიშვილმა კიდევ უკეთესი შედეგები მოიპოვეს. ამიტომ გასავებია მწვრთნელის ოპტიმიზმი. მით უფრო, რომ ახალი ტალანტებიც მოექვ-

კება, რომლებმაც გაუმართლეს იმედები და ქეყუნის ჩემ-პიონერიც გახდნენ, მთლიანად ტურნირზე კი ჭიდაობის სარისხი ამჯერად ბევრად უკეთესი იყო.

ქეცეყნის პირველობას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, ევროპის ჩემპიონატზე წასვლის კანდიდატთა, მეორე მხრივ კი მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული ოლიმპიადის ლიცენზიის მაძიებელთა გამოვლენა იყო. ტურნირმა ეს მისია საგვებით შეასრულა — ორივე მიმართულებით მართლაც გამოიკვეთა სათანადო ბირთვი.

ნლევანდელი გუნდიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მარიამ მაზანაშვილი (52), ინდირა სილაგაძე (63) და მძიმელნონსანი სალომე მაყაშვილი იქცევენ. სამივე უპრობლემოდ გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატში, პირველი ორი კი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მათ უნდა იპრობლონ მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიადის საგზურებისთვის, რომელსაც შემოდგომაზე არ-გენტინა უმასპინძლებს. ეს ტურნირი განსხვავებული ფორმატით ტარდება: ქვეყანას მხოლოდ ორი კვოტა ექლევა — თითო-თითო გოგონებსა და ბიჭებში. თანაც, საგზურებისთვის საბრძოლი წრნებიც კვიტირებულია

— საამისოდ გოგონებსაც და ბიჭებსაც 8-დან მხოლოდ 4-4 წონა ეძლევათ, თითო წონის გამოკლებით. ჩვენდა სამწუხაროდ, გოგონებისთვის განკუთვნილ წონებში მძიმე წონა არ შედის და მაყისვილი ამიტომ ვერ იპრემლებს არგენტინის საგზურისთვის, დარჩენილი სამიდან კი რეალური კანდიდატი მხოლოდ ორში გვყავს — 52-სა და 63-ში. ახლა მათ სისტემატურად უნდა იარონ სალიცენზიო შეჯიბრებებში და სარეიტინგო ქულები დააგროვონ. თენაძე არ გამორიცხავს, რომ სალიცენზიო ზონაში ორივე შევიდეს და მათ შორის ასარჩევად გვერდებს საქმე.

დანარჩენ წონებში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ეკატერინე რაზმაძე (40), ლოლიტა გაბუნია (44), მარიამ ლაფაჩიშვილი (48), მარიამ გულედანი (57) და მარიამ თეთრაძე (70). ისინი ევროპის ჩემპიონატზე წასვლის უმთავრესი კანდიდატები არიან, თუმცა საერთაშორისო ტურნირებზეც უნდა დაამტკიცონ თავიანთი უპირატესობა, თორემ მწვრთნელთა ყურადღება სხვებმაც მიიქციეს, მაგალითად, ნინო ნერეთელმა (44), რომელიც მხოლოდ ფინალში დამარცხდა.



ቻልሬኞል ሪፖርቶች

თბილისში გამართა საქართველოს ჩემპიონატი თავისიუფალ სტილში მოჭიდავე ჭაბუკთა შორის, რომელშიც ყველა უძლიერესი მოზარდი გამოვიდა. ამ გუნდს ნლეულს თაობათა ცვლა დიდად არ შეხება, ყველა წამყვანი ფალავანი ისევ გუნდში ჩჩება, თუმცა, სამწერთხელო შტაბმა ისინ კიდევ ერთხელ მაინც გამოსცადა საქმეში და ახალ კონკურენტთან პარეგორაში. მწვრთნელებისთვის სტაბილური შემადგროვნებლობა დიდი კოზირია — ამ გუნდმა შარშანაც კარგი შედეგები მოიპოვა, ნლეულს კი უფრო გამოცდილები არიან და მეტის მიღწევა ხელვნიფერებათ.

მით უფრო, საკადრო ცვლილებები თითქმის არაა მოსალოდნელი, რადგან საქართველოს ჩემპიონატში ისევ ძველმა ლიდერებმა გაიმარჯვეს. თუმცა, მწვრთნელებსაც გაუმართლდათ იმედები: გამოჩენდებრნ ახალი კადრები, იყო რამდენიმე მოულოდნელი შეღეგიც, მაგრამ მაინც ძველმა ლიდერებმა, თითქმის უკლებლად, გაიმარჯვეს, მათ სორის, მოქმედმა ევროპის ჩემპიონებმა – ქუთაისელმა გორგი ჭოლაძემ (48) და გორგელმა გიორგი გეგელაშვილმა (51). ეს ტურნირი სწორედ ევროპის ჩემპიონატისთვის იყო მთავრი შესასრული სტარტი, თუმცა, გამარჯვებულებს იქ წასასვლელად ისევ მოუწევთ ფავორიტობის დატყოცება.

დასახელებულთა გარდა, საქართველოს ნლევანდელი ჩემპიონები გახდნენ: ჯონი ცხადაია (45, თბილისი), დავით აბდალაძე (55, ქუთაისი), ვლადიმერ გამყრელიძე (60, ამბროლაური), ლუკა მარიამიძე (65, თბილისი), ბაგრატ გაგნიძე (71, ქუთაისი), გიორგი ნებუნიშვილი (80, გარდაბანი) და სოლომონ შანაშვილი (110, თბილისი).



შებუკები, ამპერატ – უმცროსები

უფროსი ასაკის ჭაბუკ ძიუდოსისტთა შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატი უმცროსი ასაკის ბიჭებმაც გამართეს – 2002-2004 წლებში დაბადებულებმა. ამ ტურნირში ჩემპიონობა შემდეგმა მოზარდებმა იჩიება: გუგა ამირხანაშვილი (46), თორნიკე მაზიაშვილი (50), კოტე კაპანაძე (55), გიორგი ტერაშვილი (60), დავით გირგვლიანი (66), ზურაბ ჩაგელიშვილი (73), გიორგი გუგუნაშვილი (81) და გიგა ტატიაშვილი (+81).

ကျော်လွှာများ၊ ပုဂ္ဂနိုင်ရေး၊ ပုဂ္ဂနိုင်လုပ်

